საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2020 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის ივლისის თვეში.

საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“

2020 წლის 15 ივლისს საქართველოს კანონში „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე, კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის, ასევე ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისთვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონების

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას.“.

ამ კანონის საფუძველზე განხორციელებლი ცვლილებები დეტალურად იხილეთ: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 370060000.05.001.020129

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“

2020 წლის 15 ივლისს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ამ კანონის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. თუ ავარიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი საკუთრება საფრთხეს უქმნის მესამე პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, მესაკუთრე ვალდებულია ასეთი ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა აცნობოს ამის შესახებ შესაბამის მუნიციპალიტეტის ორგანოს და განახორციელოს ერთ-ერთი შემდეგი ქმედება:

ა) საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში მიმართოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის ნებართვის გაცემის მოთხოვნით და ამ ნებართვის მიღების შემთხვევაში განახორციელოს, შესაბამისად, რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი;

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბ) შეასრულოს შესაბამისი ორგანოს მითითება, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს უსაფრთხოების ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად".

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020029

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“

2020 წლის 15 ივლისს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, კერძოდ, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"4. თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მეწარმის შემოწმება არ განხორციელდება. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, მოსამართლის მიერ შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემაზე უარის თქმისას იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მეწარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსთვის, აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა გადაცემული ქონება თუ დოკუმენტი. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მეწარმეს მიეცემა სათანადო და სრული ანაზღაურება. მეწარმეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს უკანონო შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“.

ამ და სხვა ამავე კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200010000.05.001.020138

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“

2020 წლის 15 ივლისს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" ორგანული კანონის მე–17 მუხლის პირველი პუნქტი და მეორე პუნქტის "ი" და "კ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, მუნიციპალიტეტის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიერ 50 პროცენტი და 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.“;

მე-2 პუნქტის "ი" და "კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ი) იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები ფლობს/ფლობენ წილის/აქციების 50 პროცენტს და 50 პროცენტზე მეტს, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ 50 პროცენტი და 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდები – აქცია, წილი – განთავსებულია ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე. ამ საწარმომ ინფორმაცია თავისი ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოთხოვნისამებრ უნდა წარუდგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;

კ) კერძო სამართლის სუბიექტის იმ სახელშეკრულებო ვალდებულებასა და სესხს, რომელთა გარანტად დგას სახელმწიფო, აგრეთვე მის საქმიანობას იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კუთვნილი თანხების, ასევე რაიმე ფორმით სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან;“.

ამ და ამავე კანონის საფუძველზე განხორციელებული სხვა ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 010230000.04.001.017976

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

2020 წლის 15 ივლისს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის 2^3 პუნქტი და 35–ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ა) „2^3. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სამორინეს ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირზე. აზარტული კლუბი უნდა მოეწყოს სამორინეს დარბაზისაგან ან/და სათამაშო აპარატების სალონისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ობიექტად".

ბ) „მუხლი 35"

"1. დაუშვებელია ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, აგრეთვე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ბილეთების (გარდა წამახალისებელი გათამაშების ბილეთებისა) გაყიდვა/გავრცელება საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით აკრძალულ ადგილებში (ტერიტორიულ ზონებში, შენობა-ნაგებობებში)".

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

"2. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ის ადგილები (ტერიტორიული ზონები, შენობა-ნაგებობები), სადაც შესაძლებელია აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა (ტერიტორიული ზონებისა, შენობა-ნაგებობებისა)".

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდი: 040170310.05.001.020158

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ"

2020 წლის 15 ივლისს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში "რეკლამის შესახებ", კერძოდ აღნიშნული კანონის მე–6 მუხლის მე–6 და მე–7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. ამ კანონით დადგენილი გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა მხოლოდ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსებისათვის. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსება დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ საჭიროებს ამ კანონით განსაზღვრულ გარე რეკლამის განთავსების ნებართვას. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული".

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

"7. გარე რეკლამაზე მითითებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი".

ამ და სხვა ამავე კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 240120000.05.001.020087.

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 28 ივლისს.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ"

2020 წლის 2 ივლისს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში "სახელმწიფო პენსიის შესახებ", კერძოდ, განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კანონის მე–7 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. პენსიის დაფინანსების წყარო, ოდენობა და გაანგარიშების წესი

1. პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. პენსიის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, ამ კანონით დადგენილი გაანგარიშების წესისა და პირობების შესაბამისად.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში პენსიის ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული პენსია, გაზრდილი:

ა) 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის – ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით;

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბ) 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის – ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის 80 პროცენტის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით".

ამ და სხვა ამავე კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 280060000.05.001.019940

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 8 ივლისს.

საქართველოს კანონი "საინვესტიციო ფონდების შესახებ"

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი "საინვესტიციო ფონდების შესახებ". აღნიშნული კანონის მიზანია, საქართველოში საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარება, ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა და ინვესტორთა ინტერესების დაცვა. კანონი ვრცელდება:

ა) საქართველოში დაფუძნებულ საინვესტიციო ფონდზე, აგრეთვე იმ უცხოურ საინვესტიციო ფონდზე, რომლის ერთეულების შეთავაზება ხორციელდება საქართველოში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდების აქტივების მმართველ კომპანიებზე;

გ) საქართველოში დაფუძნებულ აქტივების მმართველ კომპანიაზე, მიუხედავად იმისა, დაფუძნებულია თუ არა მისი მართვის ქვეშ მყოფი საინვესტიციო ფონდი საქართველოში;

დ) სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდების აქტივების ინვესტირებასთან,

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მართვასთან, შენახვასთან, ადმინისტრირებასა და აღრიცხვა-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობენ.

აღნიშნული კანონის სრული ვერსიის ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 240080000.05.001.019981

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 22 ივლისს.

საქართველოს კანონი "საქართველოს საგადასახადო კოდექსი"

2020 წლის 14 ივლისს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა "საქართველოს საგადასახადო კოდექსში", კერძოდ, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კანონის 50–ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 50. პირადი საგადასახადო მრჩეველი

1. ამ კოდექსით დადგენილ უფლებათა განხორციელებისას და დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებისას საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ისარგებლოს პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით.

2. პირადი საგადასახადო მრჩეველი არის საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც გადასახადის გადამხდელს უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მომსახურებას. პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრას.

3. პირადი საგადასახადო მრჩევლის მიერ გადასახადის გადამხდელისთვის გასაწევი მომსახურების სახეებს, მომსახურებით სარგებლობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ამ და სხვა ამავე კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.019968

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 22 ივლისს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1-1/245–№3/ნ–№01-83/ნ–№01–131–№2-615

2020 წლის 14 ივლისის ბრძანება №1-1/245–№3/ნ–№01-83/ნ–№01–131–№2-615–ის საფუძველზე განისაზღვრა უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოში ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესი. აღნიშნული ბრძანების მიზანია უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოში ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესების დადგენა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზე ან ბინადრობის უფლების მქონე პირებზე, რომლებთანაც საქართველოს გახსნილი აქვს საზღვრები ტესტირების და/ან კარანტინის გარეშე.

ზემოაღნიშნული ბრძანების სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ შედეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 010120000.22.024.016652

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 14 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge